ნაირსახეობა გუნდისა

მოსკოვი. “დინამოს” სტადიონი. 1 აგვისტო.

ცსკა (მოსკოვი) – “დინამო” (თბილისი) 0:1.

ცსკა: ნოვიკოვი, ბურდანოვი, ფოკინი, პასიჩნიკი, აფანასიევი, კოვაჩი, ნესტეროვი, კურაკინი, კოლესნიკოვი, დ. კუზნეცოვი, შტრომბერგერი.

“დინამო”: ბალაძე, ჭედია, ჩივაძე, უკლება, არზიანი, კაკილაშვილი, სვანაძე, სულაქველიძე, გუცაევი, ჩქარეული, შენგელია.

71–ე წთ. კაკილაშვილი.

22–ე წთ. კურაკინის ნაცვლად – ტარხანოვი, 62–ე წთ. აფანასიევის ნაცვლად – გალიამინი, 90–ე წთ. უკლებას ნაცვლად – მახარაძე.

მსაჯი: ალექსანდრ ხოხრიაკოვი (იოშკარ–ოლა).

კარში დარტყმა – 9:15 (5:6), ზუსტი დარტყმა 2:4 (1:2).

საჯარიმო მოედნიდან – 2:11 (1:4).

კუთხური – 2:9 (0:7).

დაჯარიმდნენ: მოსკოველები 22 (12), თბილისელები – 13 (7),

დუბლიორები – 3:0.

როგორც იქნა, ნავსი გატყდა – წლევანდელ ჩემპიონატში თბილისის “დინამომ” პირველად გაიმარჯვა მეტოქის მინდორზე. რა თქმა უნდა, სწორი არ იქნებოდა ამ ერთი მატჩის საფუძველზე შორს მიმავალი დასკვნების გაკეთება, მაგრამ ის კი აუცილებლად უნდა ითქვას, რომ გუშინდელი თამაში მოსკოვის არმიელებთან მოგებულია ყველა საფეხბურთო კანონით – თბილისელებმა ყველა კომპონენტში დაჩაგრეს მეტოქე. ამ თვალსაზრისით სარეცენზიო მატჩს ძნელად თუ ამოუყენებ გვერდით წლევანდელ სეზონში ნათამაშებ რომელიც გნებავთ შეხვედრას. თავიც რომ დავანებოთ მატჩისგან მიღებულ ვიზუალურ შთაბეჭდილებასა და თუნდ შედეგსაც, მარტო ტექნიკური მონაცემებიც კი საკმაოდ ბევრს ლაპარაკობს, თუმცა, თავად მკითხველმა განსაჯოს: სუფთა თამაშითაც, კარში, როგორც შორი, ისე ახლო მანძილიდან და ზუსტი დარტყმებითაც, კუთხურების რაოდენობითაც სტუმართა უპირატესობა აშკარა იყო.

რამ განაპირობა ეს ყველაფერი? პირველ ყოვლისა, თბილისელთა განწყობილებამ ეთამაშათ მოგებაზე. მეორე მიზეზად შეიძლებოდა “დინამოს” ფორვარდთა აგრესიულობა დაგვესახელებინა, მაგრამ, ვფიქრობ, უფრო ჩვენი განაპირა მცველების გაბედულმა იერიშებმა მოამზადა საიმისო ნიადაგი, რომ მოსკოველთა კართან არა ერთი და ორი საგოლე სიტუაცია შექმნილიყო. მასპინძლები ალბათ არ ელოდნენ, დროზე ვერ აუღეს ალღო ვითარებას და, ბუნებრივია, ვერც ვეღარაფერი დაუპირისპირეს სტუმართა ტაქტიკას. ცხადია, როცა ყველაფერ ამას ვამბობთ, არც არმიელთა აშკარად სუსტი თამაში უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, თორემ ისე გამოვა, რომ თბილისის “დინამომ” ყველა ხინჯი და წუნი ხელად, ჯადოსნური ჯოხის ერთი აქნევით მოიშორა.

პირველი თხუთმეტი წუთის თანაბარი თამაშის შემდეგ ინიციატივას თბილისელები დაეუფლნენ. სულ რაღაც რვა წუთის განმავლობაში ზედიზედ აღმოჩნდნენ ხელსაყრელ პოზიციაში გუცაევი, სვანაძე, შენგელია… 22–ე წუთზე შენგელიას

წაქცევისათვის დანიშნული საჯარიმო დარტყმა ძელს მოხვდა. ის–ის იყო, თამაში მიწყნარდა და ახლა არზიანი აღმოჩნდა მეკარე ნოვიკოვის პირისპირ, ორიოდე წუთის შემდეგ ისევ უშედეგოდ დასრულდა ჭედია–შენგელიას კომბინაცია.

მეორე ტაიმი საგოლე სიტუაციებით ასეთი უხვი არ იყო, მაგრამ სტუმართა უპირატესობა კვლავ იგრძნობოდა. 59–ე წუთზე ცსკა–ს საჯარიმოში შეიჭრა, მაგრამ უზუსტოდ დაარტყა ჩქარეულმა, მანვე მეორე ტაიმის დასაწყისში დაკარგა გოლის გატანის მშვენიერი შესაძლებლობა.

71–ე წუთი. კაკილაშვილი ატყუებს პასიჩნიკს, შედის საჯარიმოში და ზუსტად ურტყამს – 1:0.

მოსკოველთა მცდელობას, გარდატეხა შეეტანათ თამაშში, შედეგი არ მოჰყოლია. მეტიც, ჩივაძესა და შენგელიას 75–ე და 88–ე წუთებზე თავად შეეძლოთ კიდევ თითო გოლის გატანა.

ფეხბურთი საერთოდ ლოგიკური თამაშია, თუმცა, დროდადრო საკმაოდ ალოგიკურიც. მაგრამ საქმე ის არის, რომ გრძელ ტურნირებში ყველანაირი გადახვევები – ბედის წყალობაცა და უიღბლობაც ასე თუ ისე აქარწყლებს ერთიმეორეს და საბოლოოდ თითქოს ხელისგულზე დაგედოს, ისე გამოჩნდება ხოლმე გუნდის ჭეშმარიტი ძალა და შესაძლებლობა.

აი, ამ ბოლომდე, ჩემპიონატის დამთავრებამდე, ჯერ კარგა მანძილია და ბევრ რამეს, რაც დღეს საგონებელში გვაგდებს, ან პირიქით – აღტაცებას გვგვრის, სავსებით შესაძლოა ლოგიკურობის არაფერი ეცხოს. ეს ყველაფერი ორაზროვან მინიშნებად რომ არ გამიგონ, უფრო კონკრეტულად ვიტყვი: გაურკვევლობის მიზეზი თბილისის “დინამოს” ბოლო ორი მატჩია, რომლებშიც ასე ნათლად გამოჩნდა უნებისყოფობაცა და ნებისყოფაც, ბრძოლის უნარიც და უუნარობაც, ერთი სიტყვით, ნაირსახეობა გუნდისა, რომლის წარმატებაცა და წარუმატებლობაც ჯერჯერობით ძნელად ასახსნელ კატეგორიებს განეკუთვნება.

ირაკლი ბერიაშვილი.
“ლელო”, 2 აგვისტო, 1984 წ.